სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

43272315595413

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130904295

რეგისტრაციის თარიღი

03.09.2013 წ

ნოტარიუსი: ნიკოლოზ მალაშხია
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15
ტელეფონი: 2377321; მობ: 599561242

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცამეტი წლის სამ სექტემბერს მე, ნოტარიუსს ნიკოლოზ მალაშხიას, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა მალხაზ ისაკაძემ, მან განაცხადა, რომ არის შპს "მ.ჯ."-ს დირექტორი და მოითხოვა პაატა ეზიეშვილისათვის (დაბადებული 03. 11. 1968წ., პირადი № 35001007755, მცხოვრები რუსთავი, ლეონიძის ქ. 28-31) შპს "მ.ჯ."-ს სახელით შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მალხაზ ისაკაძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით: მალხაზ ისაკაძე - დაბ. 28. 04. 1965წ., პირადი № 01023004568, მცხ. ქ. თბილისი, არბოს ქ. კორპ. № "ბ", ბ. 14. მე შევამოწმე მალხაზ ისაკაძის უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს "მ.ჯ."-ს შესახებ. ამონაწერის მომზადების თარიღი: 02/08/2011 13:26:47, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. № 1, საიდენტიფიკაციო კოდი: 204960694, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 12/04/2001, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 5ა/4-2882, მარეგისტრირებელი ორგანო: ვაკე-საბურთალოს სასამართლო. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცამეტი წლის სამ სექტემბერს, ამ მინდობილობით შპს "მ.ჯ."-მ მისი დირექტორის მალხაზ ისაკაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც "საკუთრების მიმნდობი", **პაატა ეზიეშვილს**, შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილი მესაკუთრე" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია იყოს საკუთრების მინდობის წარმომადგენელი საჯარო, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო ორგანოებში და კომერციულ დაწესებულებებში, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობის და სხვა შესაბამის სამსახურებში საკუთრების მიმნდობის უძრავი ქონებასთან, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. № 5/7, დაკავშირებით. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია აიღოს მშენებლობის, მიშენების, დაშენების, რეკონსტრუქციის ნებართვა და პროექტი, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, შეიტანოს განცხადება, წარადგინოს ცნობები და სხვა საჭირო დოკუმენტები, მიიღოს ამონაწერი, საკადასტრო გეგმა და ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის შესახებ საჯარო რეესტრიდან, საჭიროების შემთხვევაში აიღოს აზომვითი ნახაზი, მათ შორის ელექტრონული ვერსია, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს სხვა მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან, უძრავი ქონების განკარგვის უფლების გარეშე.

2. მინდობილობა ძალაშია ორიათას ცამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.

აკინძულია და
ზონარგაყრილია
ფურცელი

3. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი 4 დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს "მ.ჯ."-ს შესახებ;
2. შპს „მ.ჯ."-ს წესდება, დამოწმ. ნოტ. ც. ბერიძის მიერ 2001 წლის 11 აპრილს, რეესტრი № 2-1527, ასლი დამოწმ. ნოტ. ნ. მალაშხიას მიერ 2003 წლის 10 მაისს, რეესტრი № 1-1844, იხ. ნოტ. ნ. მალაშხიას 2003 წლის 10 მაისის არქივში რეესტრი № 1-1847;
3. შპს "მ.ჯ."-ს წესდების ცვლილებები, დამოწმ. ნოტ. ნ. მალაშხიას მიერ 2003 წლის 10 მაისს, რეესტრი № 1-1847, იხ. არქივში;
4. შპს "მ.ჯ."-ს წესდების ცვლილებები, დამოწმ. ნოტ. ნ. მალაშხიას მიერ 2010 წლის 09 თებერვალს, რეესტრი № 100106913, იხ. არქივში;

4. სანოტარო საზღაური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 გადახდილია 10.0 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლი 169-ის თანახმად დღგ 1.80 ლარი, საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, მუხლი 39-ის თანახმად რეგისტრაციის საფასური 2.0 ლარი, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

შპს "მ.ჯ."-ს დირექტორი _____

ნოტარიუსი _____